დიოგენე
ET CETERA

კარლ გუსტავ იუნგი

მეტამორფოზის სიმბოლოები

კარლ გუსტავ იუნგი
მეტამორფოზის სიმბოლოები
შიზოფრენიის დასაწყისის ანალიზი

C.G. Jung
SYMBOLE DER WANDLUNG
ANALYSE DES VORSPIELS ZU EINER SCHIZOPHRENIE

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ

1952 Collected Works Volume 5
© 1973 Walter-Verlag AG, Olten

© 2007 Foundation of the Works of C.G. Jung, Zurich
Alle Rechte vorbehalten.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-530-1

www.diogene.ge

სარჩევი

ნაწილი პირველი

I. შესავალი 9
II. აზროვნების ორი ტიპის შესახებ 13
III. წინაისტორია 49
IV. ჰიმნი შემოქმედს 55
V. სიმღერა ჩრჩილზე 107

ნაწილი მეორე

I. შესავალი 163
II. ლიბიდოს ცნების შესახებ 178
III. ლიბიდოს გარდაქმნა 192
IV. გმირის დაბადება 232
V. დედის სიმბოლოები და ხელახლა დაბადება 284
VI. ბრძოლა დედისგან გასათავისუფლებლად 387
VII. ორმაგი დედა 432
VIII. მსხვერპლი 552
IX. ბოლოთქმა 615

ნაწილი პირველი

„რადგან ფაქტებს თეორია ანიჭებს ღირებულებასა და მნიშვნელობას, ამიტომ ის ხშირად ძალზე სასარგებლოა, მაშინაც კი, როცა ნაწილობრივ მცდარია. თეორია ნათელს ჰფენს მოვლენებს, რომლებიც მანამდე არავის შეუმჩნევია, შეუსწავლელ ფაქტებს სხვადასხვა თვალთახედვით გვაცნობს და მათი საფუძვლიანი შესწავლისაკენ გვიბიძგებს. შეცდომების დაშვების გაბედულება და კრიტიკის ატანა მეცნიერის ვალია, რათა მეცნიერებამ განვითარება შეძლოს. ერთმა მწერალმა ავტორი მკაცრად გააკრიტიკა, რადგან მიაჩნდა, რომ მეცნიერული იდეალი უკიდურესად შეზღუდული და უმნიშვნელოა. ისინი კი, ვისაც სერიოზული და კრიტიკული შეფასების უნარი აქვს, რათა საკუთარი ნააზრევი აბსოლუტური და მარადიული ჭეშმარიტების გამოვლინებად არ მიიჩნიოს, ეთანხმებიან ამ თეორიას, რომელიც მეცნიერების განვითარებას სწავლულის უბადრუკ პატივმოყვარეობასა და შეზღუდულ თავმოყვარეობაზე მაღლა აყენებს“.

გიიომ ფერერო, „სიმბოლიზმის ფსიქოლოგიური კანონები“, შესავალი
(Guillaume Ferrero, *Les Lois psychologiques du symbolisme*)

I. შესავალი

თუ ფროიდის „სიზმრის ანალიზს“ გულისწყრომის გარეშე წაიკითხავთ, თუ მასში გამოთქმული სიახლე თქვენთვის მიუღებელი არ აღმოჩნდება და მას უსაფუძვლო სითამამეს არ უსაყვედურებთ, თუ სიზმრების ანალიზის განსაცვიფრებელი, შეულამაზებელი სიმართლე თქვენში ზნეობრივ აღშფოთებას არ გამოიწვევს, მაშინ თქვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას მოახდენს ის ადგილი, სადაც ფროიდი[1] გვახსენებს, რომ ინდივიდუალური კონფლიქტი, კერძოდ, ინცესტური ფანტაზია, გრანდიოზული ანტიკური დრამის – ოიდიპოსის თქმულების საფუძველია. შთაბეჭდილება, რომელსაც ეს უბრალო მითითება ახდენს, იმ განსაკუთრებულ გრძნობას თუ შეედრება, რომელიც, მაგალითად, მაშინ გვეუფლება, როცა თანამედროვე ქალაქის აურზაურში ანტიკური ეპოქის რელიქტს – კედელში ჩაშენებული სვეტის კორინთულ კაპიტელს ან წარწერის ფრაგმენტს – წავაწყდებით. და აი, მაშინ, როცა ჩვენი ეპოქის ეფემერული ორომტრიალი მთლიანად გვიმორჩილებს, თვალწინ უსასრულოდ შორეული და უცხო რამ გადაგვეშლება, რაღაც ისეთი, რაც მზერას სულ სხვა ტიპის წესრიგისკენ მიგვაქცევინებს: თანამედროვეობის უსასრულო მრავალფეროვნებიდან ჩვენს ყურადღებას ისტორიული მოვლენების კავშირი იპყრობს; უეცრად თავში გაგვიელვებს, რომ სწორედ აქ, ამ ადგილას, სადაც ასე საქმიანად დავიარებით, ცხოვრება ორი ათასი წლის წინათაც – თუმცა განსხვავებული ფორმით – დაახლოებით ასე დუღდა, ადამიანებს მსგავსი ვნებები ამოძრავებდათ და საკუთარი არსებობის უნიკალურობაშიც ისევე იყვნენ დარწმუნებული, როგორც ჩვენ. ანტიკურ ძეგლებთან პირველი ნაცნობობით გამოწვეული შთაბეჭდილება იმ განცდას უნდა შევადაროთ, რომელსაც ჩვენში ოიდიპოსის თქმულე-

[1] „Die Traumdeutung“, გვ. 185.

ბის ფროიდისეული ანალიზი ბადებს. სულ ცოტა ხნის წინ იმ თავგზის ამრევი შთაბეჭდილებით ვიყავით შეპყრობილი, რომელსაც ინდივიდუალური სულის უსასრულო ცვალებადობა ახდენს, ახლა კი უეცრად ჩვენ თვალწინ ოიდიპოსის – ბერძნული თეატრის მარად უქრობი ლამპრის – ტრაგედიის უბრალოება და სიდიადე ამოიზარდა. თვალსაწიერის ასეთი გაფართოება გამოცხადებას ჰგავს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ანტიკური სამყარო წარსულის აჩრდილებს შეერწყა; როცა სკოლაში დარბაისელი პენელოპესა და იოკასტას ასაკს სრულიად უტაქტოდ ვითვლიდით, ან ამ გამოთვლების კომიკურ შედეგს სასიყვარულო ვნებათა ტრაგედიას ვუდარებდით, თქმულებებსა და დრამებში ასე ხატოვნად რომ იყო აღწერილი, სკეპტიკურ ღიმილს ვერ ვიკავებდით. მაშინ არ ვიცოდით (ან დღეს კი იცის ეს ვინმემ?), რომ დედა, შეიძლება, შვილისთვის ისეთ არაცნობიერ, ყოვლისმომცველ ვნებად იქცეს, ისე დაუნგრიოს ცხოვრება და აურიოს თავგზა, რომ ოიდიპოსის ბედის გრანდიოზულობა იოტისოდენ გადაჭარბებადაც კი არ მოგვეჩვენოს. იშვიათი და პათოლოგიური შემთხვევები, როგორიცაა, მაგალითად, ნინონ დე ლანკლოს და მისი ვაჟის ისტორია[2], უმრავლეს შემთხვევაში, იმდენად შორეულია, რომ ღრმა შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, მაგრამ თუ ფროიდის მიერ მონიშნულ გზას გავყვებით, მაშინ ამგვარ შესაძლებლობათა არსებობასაც ვირწმუნებთ და მათ სიღრმისეულ გაგებასაც შევძლებთ. ასეთი შესაძლებლობები, ალბათ, საკმაოდ სუსტია იმისათვის, რომ ინცესტი გამოიწვიოს, მაგრამ საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ სულიერი აშლილობის მიზეზად იქცეს. საკუთარ თავში ამგვარ შესაძლებლობათა დაშვება თავიდან ზნეობრივ აღშფოთებას იწვევს; ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც ინტელექტს აჩლუნგებს და თვითშემეცნების შესაძლებლობას აკარგვინებს. თუ ვისწავლეთ, როგორ განვასხვაოთ ერთმანეთისგან მეცნიერული შემეცნება და ემოციური შეფასება, მაშინ ის უფსკრულიც ამოივსება, რომელიც ჩვენს ეპოქას ანტიკური სამყაროსგან ყოფს და

[2] მან მაშინვე თავი მოიკლა, როგორც კი გაიგო, რომ ნინონი, რომელიც ასე გატაცებით უყვარდა, დედამისი იყო.

განგვაცვიფრებს იმის აღმოჩენა, რომ ოიდიპოსი ჩვენთვის თურმე სრულიად ცოცხალი სახე-ხატია. მსგავსი შთაბეჭდილების მნიშვნელობას სათანადო ყურადღება უნდა დავუთმოთ; ამგვარი შემეცნება გვასწავლის, რომ ჩვენგან დროსა და სივრცეში დაშორებული ელემენტარული ადამიანური კონფლიქტები სრულიად მსგავსია. რაც ელინებში ძრწოლას იწვევდა, დღესაც აქტუალურია, მაგრამ ჩვენთვის მხოლოდ მაშინ შეიძენს აქტუალურობას, როცა უარს ვიტყვით იმ ილუზიურ პატივმოყვარეობაზე, რომ ჩვენ სხვანაირები ვართ, მაგალითად, უფრო მორალურები, ვიდრე ანტიკური ეპოქის ადამიანი იყო. უბრალოდ, ჩვენ დავივიწყეთ, რომ ანტიკური ეპოქის ადამიანთან ჩვენი კავშირი ურღვევია; მხოლოდ ეს თუ აღმოგვაჩენინებს აქამდე არარსებულ გზას ანტიკური სული შეცნობისკენ, რაც, ერთი მხრივ, შინაგანი თანაგრძნობის, მეორე მხრივ კი, ინტელექტუალური წვდომის გზაა. ანტიკური კულტურის ცოცხალ არსს მხოლოდ საკუთარი სულის სიღრმეებში ჩამარხული საფუძვლის შეცნობით თუ ჩავწვდებით, მხოლოდ ამ გზით თუ მოვიპოვებთ საკუთარი კულტურის გარეთ იმ მყარ წერტილს, რომელიც მისი დინების გაგებას შეგვაძლებინებს. სწორედ ეს გახლავთ ის იმედი, რომელსაც ოიდიპოსის პრობლემის უკვდავების ხელახლა აღმოჩენა გვაძლევს.

პრობლემის ამგვარმა გააზრებამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო; სწორედ ამ იმპულსს უნდა ვუმადლოდეთ სულიერების ისტორიის სფეროში მეტ-ნაკლებად სწორ მიდგომას. ასეთია რიკლინის[3], აბრაჰამის[4], რანკის[5], მედერისა[6] და ჯონსის[7] ნაშრომები, რომელთაც ცოტა ხნის წინ ზილბერერის ჩინებული კვლევაც „ფანტაზია და მითი“[8] შეუერთდა. აქვე უნდა ვახსენოთ პფისტერის[9] წვლილი, რო-

---

[3] „სურვილების ასრულება და სიმბოლიკა ზღაპარში“.

[4] „სიზმარი და მითოსი“.

[5] „Der Mythus von der Geburt des Helden“.

[6] „სიმბოლიკა ლეგენდებში, ზღაპრებში, ადათ-წესებსა და სიზმრებში“.

[7] „On theNightmare“.

[8] „ფანტაზია და მითი (დანახული უმთავრესად „ფუნქციური კატეგორიის“ პოზიციიდან)“.

[9] „გრაფ ლუდვიგ ფონ ცინცენდორფის ღვთისმოსაობა“.

მელიც მას ქრისტიანული აღმსარებლობის ფსიქოლოგიის შესწავლის საკითხში მიუძღვის. ამ ნაშრომების ლაიტმოტივი ისტორიული მასალის გააზრებისას ფსიქოანალიზური, მაშასადამე, თანამედროვე ადამიანის არაცნობიერის მოქმედების შესწავლით მოპოვებული ცოდნის გამოყენებაა. მკითხველს ვურჩევდი, გაეცნოს ზემოთ დასახელებულ ავტორთა ნაშრომებს, რათა წარმოდგენა შეექმნას მოპოვებული ცოდნის მასშტაბურობასა და ხასიათზე. ცალკეულ დეტალებში ამ ავტორთა განმარტებები არასაკმარისად დამაჯერებელია, თუმცა საბოლოო შედეგზე არსებით გავლენას მაინც ვერ ახდენს. შედეგი მაინც მნიშვნელოვანი იქნებოდა, ამ ავტორებს თუნდაც მხოლოდ ის ანალოგია რომ წარმოეჩინათ, რომელიც ისტორიული რელიქტების ფსიქოლოგიურ აგებულებასა და თანამედროვე ინდივიდუალური შემოქმედების სტრუქტურას შორის არსებობს. ეს ანალოგია არსებობს არა მარტო სიმბოლიკაში, როგორც ეს აბსოლუტური დამაჯერებლობით წარმოაჩინეს რიკლინმა, რანკმა, მედერმა და აბრაჰამმა, არამედ მოტივების არაცნობიერი გადამუშავების ცალკეულ მექანიზმებშიც.

ფსიქოანალიტიკოსი აქამდე უპირატესად ინდივიდუალური ფსიქოლოგიის პრობლემათა ანალიზით იყო დაკავებული. დღეს შექმნილი გარემოებიდან გამომდინარე, გარდაუვლად მიმაჩნია შემდეგი მოთხოვნა – ინდივიდუალური ფსიქოლოგიური ანალიზის გაფართოება ისტორიული მასალის ჩართვის საფუძველზე, როგორც ეს ფროიდმა სცადა თავის ნაშრომში „ლეონარდო და ვინჩი“[10]. რადგან, როგორც ფსიქოლოგიური შემეცნება უწყობს ხელს ისტორიული კონსტრუქტების გაგებას, ასევე ჰფენს ნათელს ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური კავშირების გააზრება ისტორიულ მასალას. ამ და მსგავსმა მოსაზრებებმა მიბიძგა იქითკენ, რომ მეტი დრო დამეთმო ისტორიული მასალისთვის და იმედს ვიტოვებ, რომ ის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის საფუძვლების შესასწავლად ახლებურ პერსპექტივებს წარმოაჩენს.

---

[10] „ლეონარდო და ვინჩის ბავშვობის მოგონებები“. ასევე რანკის „სიზმარი, რომელიც საკუთარ თავს თვითონვე განმარტავს“.

II. აზროვნების ორი ტიპის შესახებ

როგორც ცნობილია, ანალიზური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი პრინციპი ის არის, რომ სიზმრის სურათ-ხატები სიმბოლურად უნდა იქნეს გაგებული და არა პირდაპირ, და რომ მათში დაფარული აზრი უნდა ვივარაუდოთ. სიზმრის სიმბოლიკის შესახებ ამ უძველესმა მოსაზრებამ არათუ კრიტიკა, არამედ ოპოზიციური განწყობაც კი გამოიწვია. ადამიანის ქედმაღლურ გონებას არაფერი მიაჩნია უფრო დიდ სენსაციად, ვიდრე ის, რომ სიზმარს გონივრულობა მიაწეროს და, შესაბამისად, გააანალიზოს. ეს მოსაზრება კი მხოლოდ იმ ჭეშმარიტებას ააშკარავებს, რომელიც უკვე იმდენად ცნობილია, რომ ბანალურადაც კი ჟღერს. ეგვიპტელ და ქალდეველ სიზმრის ამხსნელთა შესახებ სკოლის ასაკიდანვე გვსმენია. ვიცით, რომ იოსებმა ფარაონის სიზმრები ახსნა [დაბადება, 15-31], გვსმენია დანიელისა და ნაბუქოდონოსორის სიზმრებისა და [დანიელი, 4] ასევე არტემიდოროსის სიზმრების წიგნის შესახებ. ყველა დროისა და ხალხის წერილობითი ძეგლები გვამცნობენ მნიშვნელოვან და წინასწარმეტყველურ, უბედურების მაუწყებელ და მკურნალ სიზმრებზე, რომლებიც ადამიანებს ღმერთების ნებით ევლინება. როცა ამა თუ იმ მოსაზრების ძველთაგან სწამთ, მაშასადამე, მასში რაღაც სიმართლეცაა, ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მაინც.

თანამედროვე ცნობიერებისთვის სრულიად წარმოუდგენელია, რომ ჩვენ გარეთ არსებული ღმერთი სიზმარს იწვევს, ან სიზმარი მომავლის მოვლენებს წინასწარმეტყველებს. თუ ამ მოსაზრებას ფსიქოლოგიის ენაზე ვთარგმნით, მაშინ ანტიკური ეპოქის მსოფლხედვა ბევრად გასაგები ხდება, კერძოდ: სიზმარი სულის ჩვენთვის უცნობ ნაწილში იბადება და ის მომავალი დღის მოვლენებს ამზადებს. ძველი რწმენის თანახმად, ღვთაებები და დემონები მძინარეს სიმბოლურ ენაზე ელაპარაკებიან და სიზმრების ამხსნელი

ამ ამოუხსნელი ენის განმარტებას, მის ახსნას ცდილობს. თუ ამ აზრს უფრო თანამედროვედ გამოვხატავთ, მაშინ სათქმელი ასე უნდა ჩამოვაყალიბოთ: სიზმარი სურათ-ხატების სერიაა, რომელიც აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი და უაზროა, თუმცა ისეთი აზრობრივი მასალისგან შედგება, საიდანაც, მისი სწორად გაგების შემთხვევაში, სრულიად ცხადი აზრი გამომდინარეობს.

თუ სიზმრის ანალიზის საკითხებში ჩემი მკითხველის სრულ გაუთვითცნობიერებლობას დავუშვებ, მაშინ ზემოთ ნათქვამის დასამტკიცებლად უამრავი მაგალითის მოყვანა დამჭირდება. მაგრამ დღეს ეს საკითხები იმდენად ცნობილია, რომ მომიწევს ფსიქოანალიზსა და სიზმრის კაზუისტიკაში გათვითცნობიერებული პუბლიკა გავითვალისწინო, რათა მას თავი არ შევაწყინო. ამასთან, შეუძლებელია სიზმრის მოყოლა ისე, რომ ცხოვრებისეული ისტორიის ნახევარზე მეტი მაინც არ დაურთო, რომელიც სიზმრის ინდივიდუალურ საფუძველს ქმნის. ცხადია, არსებობს ერთი შეხედვით მარტივი მნიშვნელობის მქონე გარკვეული ტიპის სიზმრები და სიზმრის მოტივები, თუ მათ სექსუალური სიმბოლიკის თვალთახედვით განვიხილავთ. დაკვირვების ეს მეთოდი შეგვიძლია გამოვიყენოთ ისე, რომ ამგვარად გამოხატული შინაარსის წარმომავლობა სექსუალურს არ დავუკავშიროთ. ცნობილია, რომ ენას მრავალი ეროტიკული მეტაფორა აქვს და ისინი იმგვარ შინაარსებს მიემართება, რომლებსაც სექსუალურობასთან არაფერი აქვთ საერთო; და პირიქით: სექსუალური სიმბოლიკა არ ნიშნავს, რომ მისი ინტერესი გარდაუვლად ეროტიკული ბუნებისაა. სექსუალურობა, როგორც უმთავრესი ინსტინქტი, სხვადასხვა აფექტის მიზეზი და საფუძველია, რომელიც ენაში ღრმა კვალს ტოვებს. აფექტის იდენტიფიცირება სექსუალურობასთან დაუშვებელია იმდენად, რამდენადაც ის, შესაძლოა, რომელიმე კონფლიქტური სიტუაციიდან გამომდინარეობდეს. ასე მაგალითად, თვითგადარჩენის ინსტინქტი, შეიძლება მრავალნაირი ემოციის სათავეც იყოს.

სიზმრის მრავალ სურათ-ხატს ან სექსუალური ასპექტი აქვს, ან ისინი ეროტიკულ კონფლიქტს გამოხატავენ. ეს განსაკუთრებუ-

ლი სიცხადით ვლინდება ძალადობის მოტივებში. ქურდის, ყაჩაღის, მკვლელისა და სექსუალური მანიაკის მოტივი ხშირია ქალების ეროტიკულ სიზმრებში. არსებობს ამ თემის უთვალავი ვარიაცია. მომაკვდინებელი იარაღი შეიძლება იყოს შუბი, მახვილი, ხანჯალი, რევოლვერი, თოფი, ზარბაზანი, ჰიდრანტი, სარწყავი; ძალადობა კი, შეიძლება, გამოიხატოს ბინის გაქურდვით, დევნით, ქურდობით, ვიღაცის კარადაში ან საწოლქვეშ დამალვით. შესაძლოა, საფრთხე გამოიხატოს ცხოველის სახით, მაგალითად, ცხენით, რომელიც სიზმრის მნახველს მიწაზე აგდებს და უკანა ფეხით წიხლს ურტყამს; ლომით, ვეფხვით, სპილოთი, რომლის ხორთუმიც საშიშადაა შემართული და ბოლოს, გველის ნაირსახეობებით: გველი ქალს ხან პირში უძვრება, ხან კლეოპატრას ლეგენდარული გველივით მკერდზე კბენს, ხან სამოთხის მაცდურ გველად გვევლინება, ხან კი ფრანც შტუკისეულ ვარიაციებად წარმოგვიდგება, რომლის გველებსაც საგულისხმო სახელები აქვთ: „მანკიერება“, „ცოდვა“ და „ავხორცობა“ (ნახ. 24). მისი სურათების განწყობა ავხორცობისა და შიშის უმაგალითო ნარევს გადმოსცემს და ცხადია, ბევრად დაუნდობელია, ვიდრე მიორიკეს ეს მშვენიერი ლექსი გახლავთ:

გოგონას პირველი სატრფიალო სიმღერა

რა ჩანს ბადეში?
ხედავ?
შიში მედება!
გემრიელ თევზს მოვიხელთებ, თუ
გველი მერგება?
ბრმა მეთევზეა სიყვარული;
აუხსენით ბავშვს,
რას ეპოტინება!
სხმარტალებს უკვე
ჩემს ხელებში!
ოი, სიმწარევ, ოი, სიტკბოვ!
მეხუტება და კლაკვნით მიიწევს
მკერდისკენ,

თან იკბინება,
სასწაულია!
კანქვეშ მიძვრება და გულს ქვე აგდებს.
ოჰ, სიყვარულო, მე მეშინია!
რა გავაკეთო, რა წამოვიწყო?
საშინელია ეს არსება!
იქ, სადღაც შიგნით, სულ შმაშუნობს და იკლაკნება!
გესლია გულში.
ის გარს ეხვევა,
ვნეტარებ, როცა შიგ ფათურობს!
დამღუპავს, ვიცი![11]

ეს ყველაფერი ძალზე მარტივია და საგანგებო ახსნა არ სჭირდება. გაცილებით რთულია ახალგაზრდა ქალის შემდეგი სიზმარი: *ის კონსტანტინეს ტრიუმფალურ თაღს ხედავს. მის წინ ქვემეხი დგას, მარჯვნივ ფრინველი მოჩანს, მარცხნივ – კაცი. ქვემეხი გაისვრის, ჭურვი ქალს ხვდება, ჯიბეში ჩაუვარდება და ჯიბიდან საფულეში მოხვდება. ის იქ უძრავად დევს, ქალი კი საფულეს ისე ექცევა, თითქოს შიგ რაღაც ძვირფას ნივთს ინახავდეს. შემდეგ სურათი ქრება და ქალი ქვემეხის ლულის მეტს ვეღარაფერს ხედავს. ზემოთ კი კონსტანტინეს ლოზუნგი წერია: „In hoc signo vinces („ამით გაიმარჯვებ“).* ამ სიზმრის სექსუალური სიმბოლიკა საკმარისია იმისათვის, რომ გულუბრყვილო უსიამოვნოდ განაცვიფროს. თუ ასეთი გამოცდილება სიზმრის მნახველისთვის ახალია და ის მხოლოდ ცნობიერების ორიენტაციაში გაჩენილი ცარიელი ადგილის კომპენსაციაა, მაშინ ამ სიზმრის არსი გასაგებია. თუ სიზმრის მნახველისთვის სიზმრის ეს მნიშვნელობა გასაგებია, მაშინ ის სხვა არაფერია, თუ არა რეპეტიცია, რომლის მიზანიც ბუნდოვანია. ეს და ამგვარი სიზმრები თუ სიზმრის მოტივები, შეიძლება, სერიულად, მოსაბეზრებელი ერთფეროვნებით მეორდებოდეს. დაკვირვების ამ მეთოდს ინტერპრეტაციის იმ „მონო-

[11] თხზულებანი, II, გვ. 35 (მთ. რ. კობახიძე).

ტონურობისკენ“ მივყავართ, რომელსაც ფროიდიც უჩიოდა. ასეთ შემთხვევაში, სრულიად გამართლებულია ვარაუდი, რომ სექსუალური სიმბოლიკა მხოლოდ სიზმრის ენას იყენებს: „Canis panem somniat, piscator pisces“ (ძაღლს პური ესიზმრება, მეთევზეს – თევზი). დეგრადაცია, შეიძლება, სიზმრის ენამაც განიცადოს და ჟარგონად გადაიქცეს. გამონაკლისს, ცხადია, ის შემთხვევა წარმოადგენს, როცა ერთი კონკრეტული მოტივი ან მთელი სიზმარი მეორდება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სიზმრის მნახველმა ის სწორად ვერ გაიგო, ცნობიერების ორიენტაციისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მისი მეშვეობით გამოხატული კომპენსაცია გაცნობიერდეს. ჩვენ მიერ აღწერილ შემთხვევაში ჩვეულებრივ უცოდინარობასთან, შესაბამისად – განდევნასთან გვაქვს საქმე. ასე რომ, შეგვიძლია მხოლოდ სიზმრის სექსუალური მნიშვნელობით შემოვისაზღვროთ და სიმბოლიკის ნიუანსებს არ ჩავუღრმავდეთ. სიზმრის ფინალი მნიშვნელოვან აზრზე მიუთითებს: „ამით გაიმარჯვებ“. ამ საფეხურს კი სიზმრის მნახველი მაშინ მიაღწევს, როცა სექსუალური კონფლიქტის არსებობას გააცნობიერებს და აღიარებს.

სიზმრის სიმბოლურ ბუნებაზე მცირედი მითითებაც საკმარისია. სიზმრის სიმბოლიკა უნდა მივიღოთ, როგორც დასრულებული ფაქტი, რათა ჯეროვანი სერიოზულობით მივუდგეთ ამ საკითხს. უცნაურია, რომ სამშვინველის ცნობიერ მოქმედებას მთლიანად მოიცავს სულიერი სტრუქტურა, რომელიც, ცნობიერი ფსიქიკური საქმიანობისგან განსხვავებით, სხვა კანონებს ემორჩილება და სხვა მიზნებს ისახავს.

რით აიხსნება სიზმრის სიმბოლური ბუნება? საიდან იძენს სიზმარი სიმბოლური გამოსახვის უნარს, რომლის კვალი ცნობიერ აზროვნებაში არც კი შეინიშნება? მოდი, კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ მას ახლოდან: განვიხილოთ რომელიმე ბაზისური, ანუ მთავარი, მოვლენა, როგორც მას უწოდებენ ხოლმე; თვალი მივადევნოთ ერთმანეთთან დაკავშირებულ ცალკეულ მოვლენებს ისე, რომ იმ ბაზისურ მოვლენაზე არ ვიფიქროთ და მას მხოლოდ ისე დავეყ-

რდნოთ, როგორც ორიენტირს. ასეთ შემთხვევაში ვერაფერ სიმბოლურს ვერ აღმოვაჩენთ. სწორედ ასე ვითარდება ჩვენი ცნობიერი აზროვნებაც[12]. თუ აზროვნების პროცესს კარგად დავაკვირდებით, მაგალითად, რომელიმე რთული პრობლემის გადაჭრის პროცესს, მაშინვე აღმოვაჩენთ, რომ ჩვენ *სიტყვებით ვაზროვნებთ*, აქტიური აზროვნების დროს საკუთარ თავთან ვიწყებთ ლაპარაკს, ზოგჯერ პრობლემის არსს ფურცელზე ჩავინიშნავთ ხოლმე, რომ მისი წარმოდგენა უფრო ნათლად შევძლოთ. ასე რომ, აზროვნების პროცესი, მეტ-ნაკლებად, ენობრივი ფორმით ვითარდება, სწორედ ისე, როგორც მასზე ვლაპარაკობთ, მის არსს სხვას ვუხსნით ან ვინმეს დარწმუნებას ვცდილობთ. აზრთა მსგავსი მდინარება აშკარად გარეთ არის მიმართული. ამ თვალსაზრისით, ლოგიკური აზროვნება, რომელიც კონკრეტული მიმართულებით ვითარდება, რეალური აზროვნებაა[13], ანუ იმგვარი აზროვნება, რომელიც სრულებით მიესადაგება რეალობას[14], სადაც ჩვენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ობიექტურ-რეალური მოვლენების თანამიმდევრულობას ვბაძავთ და სურათ-ხატებიც ჩვენს წარმოდგენებში სწორედ ისეთი მკაცრი მიზეზშედეგობრივი თანამიმდევრობით ენაცვლება ერთმანეთს,

---

[12] შდრ. ლიპმანი, „Über Ideenflucht"; ასევე იუნგი და რიკლინი, „Untesachungen über Assotriationen gesunden". აზროვნება, როგორც გაბატონებულ წარმოდგენებზე დაქვემდებარება; შდრ. ებინგჰაუსი (Ebbinghaus), „Psychologie". კიულპე (Külpe, „Grundriss der Psychologie", გვ. 464) იმავე აზრს გამოთქვამს: აზროვნების პროცესში საქმე გვაქვს „შორსმჭვრეტელ აპერცეფციასთან, რომელიც ცალკეულ რეპროდუქციათა ნაწილობრივ დიდ და ნაწილობრივ პატარა წრეებს განაგებს და შემთხვევითი რეპროდუქციული მოტივებისგან მხოლოდ თანამიმდევრულობა განასხვავებს და მისი წყალობით ყველაფერს, რაც ამ წრისგან შორსაა, შეაკავებს ან განდევნის".

[13] თავის „Psychologia empirica"-ში, §23 (გვ. 16) კრისტიან ვოლფი მარტივად და ნათლად ამბობს: „Cogitatio igitur est actus animae, quo sibi sui rerumque aliarum extra se conscia est" („აზროვნება სულის იმგვარი აქტია, რომლითაც ის საკუთარ თავს და საკუთარი თავის მიღმა საგნებს შეიმეცნებს").

[14] ადაპტაციის მომენტს განსაკუთრებით წინ წამოსწევს უილიამ ჯეიმსი (William James, „Psychologie", გვ. 353) ლოგიკური აზროვნების განსაზღვრებისას: „ახალი ფაქტების გააზრების უნარი ლოგიკური აზროვნების differentia specifica-დ უნდა მივიჩნიოთ, რაც მას ჩვეულებრივი ასოციაციური აზროვნებისგან განასხვავებს".

როგორც ეს რეალურ სამყაროში, ჩვენი წარმოდგენების მიღმა[15] მოხდებოდა. ამ ტიპის აზროვნებას მიზანმიმართულ ყურადღებასაც ვუწოდებთ. მისი ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ის ადამიანს ღლის და ამიტომ მას ფუნქციას დროდადრო თუ ანიჭებენ ხოლმე. ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს გარემოსთან ადაპტაციას და ეს ჩვენი დიდი მონაპოვარია. ამ მონაპოვრის ერთ ნაწილს მიზანმიმართული ყურადღება შეადგენს, რომელიც – თუ ბიოლოგიურ ტერმინს მოვიშველიებთ – სხვა არაფერია, თუ არა ასიმილაციის პროცესი და ეს პროცესიც, ნებისმიერ სხვა მიღწევათა მსგავსად, შესაბამის დაღლილობას იწვევს.

მასალა, რომლითაც ვაზროვნებთ, ენა და ენობრივი ცნებაა, რომელიც ყოველთვის ხიდის ფუნქციას ასრულებდა და ერთადერთი დანიშნულება – გადაცემა – ჰქონდა. სანამ ჩვენ გარკვეული მიმართულებით ვაზროვნებთ, ვაზროვნებთ სხვისთვის და ველაპარაკებით სხვას[16]. თავდაპირველად ენა ემოციური და იმიტაციური ბგერების სისტემა იყო; სისტემა, რომელიც შიშს, ძრწოლას, მრისხანებას, სიყვარულს და ა. შ. გამოხატავდა, ან სტიქიის ხმებს ბაძავდა – წყლის რაკრაკსა და ჩუხჩუხს, მეხის გავარდნას, ქარის ზუზუნს, ცხოველების ხმებს, ასევე, აღქმულ ბგერათა კომბინაციასა და აფექტურ რეაქციათა ბგერებს[17]. ონომატოპოეტური რელიქტები დიდი რაოდენობით შემოინახა თანამედროვე ენებმაც, მაგ.,

---

[15] „აზრები ჩვენი შეგრძნებების აჩრდილებია, მუდამ ბნელი, ცარიელი და მარტივი, ვიდრე აზრებია“, – წერს ნიცშე. ლოცე (Lotze, „Logik“, გვ. 552) ამავე საკითხზე შემდეგს ამბობს: „...როცა აზროვნება თავისი მოძრაობის ლოგიკურ კანონებსაა მინდობილი, სწორად გავლილი გზის ბოლოს ის თავად საგნების თანაფარდობებს ხვდება“.

[16] შდრ. ქვემოთ ბოლდუინის მოსაზრება. თავისი ექსცენტრიკული ფილოსოფიური შეხედულებებით ცნობილი იოჰან გეორგ ჰამანი (Johann Georg Hamann, 1730-1788) აზროვნებას ენასთან აიგივებს (იხ. „Schriften“ VII, გვ. 1). ნიცშესთვის აზროვნება „ენის მეტაფიზიკაა“. კიდევ უფრო შორს მიდის ფრიდრიხ მაუთნერი (Friedrich Mauthner, „Sprache und Psychologie“); მისთვის აზროვნება საერთოდ არ არსებობს ენის გარეშე და თვლის, რომ მხოლოდ ენაა აზროვნება. ყურადსაღებია მისი მოსაზრება მეცნიერებაში მყარად ფეხმოკიდებული „სიტყვის ფეტიშიზმის“ შესახებ (გვ. 150).

[17] შდრ. კლაინპაული (Kleinpaul), „Das Leben der sprache“.

წყლის მოძრაობის გამომხატველი ბგერები: რაკრაკი, ჩუხჩუხი, წანწკარი, დგაფუნი.

ამგვარად, ენა იმთავითვე ნიშანთა და „სიმბოლოთა“ სისტემა იყო, რომელიც რეალურ პროცესს და ადამიანთა სამშვინველში მათ გამოძახილს აღნიშნავდა[18]. შეუძლებელია, არ დაეთანხმო ანატოლ ფრანსს[19], როდესაც ის ამბობს:

> „რა არის აზროვნება? როგორ ვაზროვნებთ? ჩვენ ვაზროვნებთ სიტყვებით; აზრი მხოლოდ სიტყვებს აქვს და ისინი ბუნებასთან გვაბრუნებენ. წარმოიდგინეთ მეტაფიზიკოსი, რომელსაც სამყაროს სისტემის შესადგენად მხოლოდ მაიმუნებისა და ძაღლების უფრო სრულყოფილი ყმუილის გამოყენება შეუძლია. რასაც ის ღრმააზროვან წვდომასა და ტრანსცენდენტურ მეთოდს უწოდებს, ბგერათა უნებლიე განლაგებაა, რომლებიც პირველყოფილ ტყეებში შიმშილის, შიშისა და სიყვარულის დროს ისმოდა და რომლებმაც თანდათან მნიშვნელობა და შინაარსი შეიძინა. ეს შინაარსები აბსტრაქტულად მიიჩნევა მაშინ, როცა კავშირი ბგერასა და ამ ბგერით გამოხატულ შინაარსს შორის დუნდება. ნუ შეშინდებით, თუ დახშული, უღონო ყვირილი, რომლისგანაც ფილოსოფიური ნაშრომი შედგება, სამყაროს შესახებ ისეთ დიდ ცოდნას გაზიარებთ, რომ ამ სამყაროში ცხოვრებას ვეღარ შეძლებთ“.

ასეთია ჩვენი მიმართული (ლოგიკური) აზროვნება. რაც უნდა მარტოსული, სამყაროსგან განდგომილი მოაზროვნე ვიყოთ, ჩვენი აზროვნება მაინც სხვა არაფერია, თუ არა იმ ძახილის წინა საფეხური, როცა ვიღაც თავის ამხანაგს ატყობინებდა, სასმელი წყალი

---

[18] რაში გამოიხატებოდა „სიმბოლოების“ სუბიექტურობა, რომელიც მთლიანად სუბიექტის მიერ იყო შექმნილი, ამის შესახებ ნათელი წარმოდგენა შემიქმნა ჩემმა პატარა შვილმა: როცა ის რამეს ჰკიდებდა ხელს ან ჭამდა, ენერგიულად შესძახებდა ხოლმე: „stô lô!“ (შვეიცარიულ გერმანულად – „ხელი გაუშვი“).

[19] „Le Jardin d’Epicure“, გვ. 80.